№ 14
 პარასკევი, 19 იანვარი 1896

1877—1896

№ 14
პარასკევი, 19 იანვარი 1896

ივერია

გაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
01	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

რედაქცია:
სიკოლოთოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვი
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი №227

ქართული თეატრი.

კვირას 21 იანვარს, 1896 წ.

„ქართულ დრამატიულ საზოგადოების“
დასისაგან
წარმოდგენილი იქნება

პარიზის ღარიბ-ღატაკნი

დრ. 5 მოქ. თარგ. ვალ. გუნიას მიერ

მონაწილეობას ღებულობენ: ავალოვისა, ჩერქეზიშვილისა, მელიქიშვილისა, ჩხეიძისა, და სხვ. ბ-ნნი აბაშიძე, ალექს. მესხიევი, კ. მესხი გუნია, გედევანოვი, სვიმონიძე, კანდელაკი, შათირიშვილი, ადამიძე, მჭედლიშვილი და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
მოწაფეებისათვის ადგილები ლოჟების უკან 65 კაპ.
დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.
ოთხშაბათს 24 იანვარს, დანიშნულია ბენეფისი გ. გედევანოვისა.
რეჟისორი ვლ. ალექსი-მესხიშვილი

ახალი ამბავი

—

*** ტფილისის გუბერნატორი თავადი გ. დ. შარვაშიძე 10 იანვარს მისს იმპერატორებითს უდიდებულესობას ხელმწიფე იმპერატორს წარუდგა.

*** გუშინ, 18 იანვარს, ნავთლუხის სადგურის ახლოს მეურმეებს ცეცხლი გაუჩენიათ მინდორში გასათბობად. რადგანაც აქ მიწა გაჟღენთილია ნავთიდ, მიწას ცეცხლი წაჰკიდებია, რომელიც გადასულა რკინის გზის სადგურთან და მანველიანცის ნავთის შესანახ რეზერვუარებთან. ნავთის მილები მაშინვე დაუშლიათ და გადაუყრიათ, რომ ცეცხლი რეზერვუარს მოაშორონ და ამგვარად ხალხს დიდის ტანჯვით ძლივს ჩაუქვრიათ ცეცხლი. მეურმეები გაქცეულან და გადარჩენილან თავიანთ ურმებით.

*** ბორჩალოს მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლად 1895 წლიდამ სამის წლით კაპიტანი თავადი გიორგი აფხაზი დაუმტკიცებიათ.

*** 21 იანვარს რუსეთის საიმპერატორო საგეოგრაფიო საზოგადოება ორმოც-და-ათი წლის იუბილეის იდღესასწაულებს. პატივსაცემლად იმ ღვაწლისა, რომელიც მიუძღვის გეოგრაფიულ საზოგადოებას მეცნიერებისა და სამეურნეო მრეწველობის განვითარების საქმეში, კავკასიის სამეურნეო საზოგადოებამ დაადგინა იუბილეის დღეს მისალოცავი ტელეგრამმა გაუგზავნოს.

*** ჩვენ გავიგეთ, რომ ჩვენი დაუღალავი მოღვაწე ზაქ. ჭიჭინაძე ამ დღეებში გაციებულა და ძალიან ავათ არისო. გუშინ რედაქციაში შემოვიდა ერთი ახალგაზდა, რომელმაც გვიამბო, საშუალება არა გვაქვს ექიმი მოვიწვიოთო, უწამლოთ ავათმყოფსო და სხვა. მივაქცევთ საზოგადოების ყურადღებას ამ სამწუხარო მდგომარეობას.

*** სამშაბათს, 23 იანვარს დანიშნულია კავკასიის სამეურნეო საზოგადოების წევრთა საერთო კრება, ხარჯთ აღრიცხვისა და იმ კათხვების განსახილველად, რომელნიც გადაწყვეტელნი დარჩნენ 16 იანვრის კრებაზე.

*** როგორც ვუწყით, 15 აპრილს ქ. ქუთაისში შავის ქვის მწარმოებელთა კრებაა დანიშნული. როგორც «ბირჟ. ვედ.»-ის ცნობებიდამა სჩანს, კრება განიხილავს შემდეგს საგნებს:

1) გაძლიერებულ იქმნას სატეხნიკო ზედამხედველობა შავის ქვის წარმოებაზე.

2) სამრეწველო პოლიცია განთავისუფლებულ იქმნას საზოგადოდ პოლიციის სამსახურის თანამდებობისაგან; 3) შავის ქვის მწარმოებელთათვის გაიხსნას იაფ-ფასიანი და ხელმისაწდომი კრედიტი; 4) გაუმჯობესებულ იქმნას გადატან-გადმოტანის საშუალებანი ბ ჭიათურის შტოს საწყობი ადგილები და აგრეთვე ფოთის ნავთსადგურისა; 5) განხილულ იქმნას პროექტი იმის შესახებ, თუ რანაირად იქმნან განაწილებულნი შავის ქვისათვის საწყობი ადგილები და ვაგონები ჭიათურის სადგურზე და აგრეთვე იმის შესახებ, რომ კერძო კომიტეტი შესდგეს აღნიშნულ საგნებისათვის რიგისა და წესის მიცემად; 6) შეიკრიბოს საჭირო ცნობები, თუ უცხოეთის შავის ქვის ბაზრები რა მდგომარეობაში არიან; 7) ქუთაისსა, ან ქუთაისის გუბერნიაში სხვაგან სამგე სკოლა იქმნას დაარსებული; 8) განხილვა და დამტკიცება კრებაზე მომხდარ ხარჯების რაოდენობისა და გამოძებნა საშუალებათა, რომლითაც შესაძლებელი იქმნება ხარჯი დაიფაროს, და 9) ამორჩეულ იქმნენ სხვა-და-სხვა თანამდებობაზე საჭირო პირნი და შემუშავებულ იქმნას კრების საბჭოსა და სხვა ორგანებისათვის ინსტრუქცია.

*** როგორც გაზ. «ნოვ. ობოზრ.»ეს ატყობინებენ, სოფ. ჭარილას მახლობლად, ართვინის ნაწილში, პირველსა და მეორე საჭიეთსა, ნანალივსა და ციცწყარეთში შავი ქვა აღმოუჩენია ტფილისის მცხოვრებს მაგდანა ისაკოვისას.

*** ახალ-სენაკიდამ გვატყობინებენ, რომ ბ-ნი ავქ. ცაგარელი და შეუღლე მისი ნ. მ. გაბუნია ცაგარლისა ახალსენაკს თავს ანებებენ, რადგანაც სამსახურისა გამო სხვა ადგილას გადაუყვანიათ ავქ. ცაგარელი. ამ გარემოებას დიდად სამწუხაროდ მიიჩნევს მთელი ახალ-სენაკი, რადგანაც მათის წყალობით საკმაოდ კარგად მოვაწყეთ ქართულ-რუსული წარმოდგენების საქმე და სამუდამო დასიც გვყავდაო, გვწერს ჩვენი კორესპონდენტი და ეხლა-კი ეს დიდად პატივცემულნი პირნი, რომელთაც არა მცირედი ღვაწლი მიუძღვოდათ ამ საქმეში, გვშორდებიანო.

*** სოფ. მარტვილი (სენაკის მაზრა): 4 იანვარს მარტვილის ბოქაული როსტომ დ. ამაშუყელი თავისს საბოქაულოში (ფოცხოს საზოგადოებაში) წავიდა ცხენით სამსახურის გამო. ამინდი ამ დროს მეტად ცუდი იდგა და თოვდა. ბოქაულს გზაზე დაჰლამებოდა; ცუდის გზების გამო ცხენიდამ გადმოვარდნილიყო და დანიშნულს ადგილას მთლად გაყინულს ძლივს-ღა მიეღწია. ბ-ნი ამაშუყელი მაშინვე ავად გახდა და გარდაიცვალა კიდეც.

ფელეტონი

***

როს დასავლეთით გადიხრება მზე,
ჩრდილოეთიდამ დაჰბერს ნიავი
და დედა-მიწას გახუნებულსა
გადაეკვრება ზეწარი შავი;
როს ხეს ფოთოლი გაუვითლებული
სცვივა ნელ-ნელა ჩამოდის ძირსა
და ვით მცხედარსა კანდელის შუქი,
მთვარე დასცქერის დედა-მიწასა;
როს ჩემს მახლობელს მონასტერშია
ჟამსა მწუხრისას ჩამოჰკვრენ ზარსა
და მის გლოვის ხმა ათრთოლებს ჰაერს,
თითქოს ცა ჰმარხავს დედა-მიწასა;
მაშინ მე მარტო ჩემსა ოთახში
ვზივარ მოწყენით სახე მწუხარე
და ოცნებით ვეძვრეტ, თითქოს კუბოში
სძევს საყვარელი სამშობლო მხარე;
მაშინ მე ვმარხავ ჩემს იმედებსაც
და ჩემს მეგობართ მისწრაფებასა,
სჩანს ჩემს სულთანა რაღაც ერთობა
ჰქონია გაძრცვნილ მგლოვ ბუნებასა.

ი. ევდოშვილი.

დ. დილიჟანი.

ძველი და ახალი ამბავი.

—

ა. ჯაბადარის წერილი და „კვალის“ ზრდილობიანობა.—ნ. ნიკოლაძის რეალიზმი და გ. წერეთლის საბელლეტრისტო, სამეცნიერო და საზოგადო მოღვაწეობა.—მეგობრობის დახსომებაც ასე უნდა.—გულ-მანკიერნი და გულ-უმანკონი.

—

იმედია, „ივერიაში“ წაიკითხავდით ბ-ნ ჯაბადარის თავდაჭერილს, მართებულს და ზრდილობით სავსე წერილს. ბ. ჯაბადარის პასუხი გამოიწვია თავდაუჭერელ, უმართებულო და ზრდილობა მოკლებულ ქცევამ, რომლითაც იჩინა თავი ქალბატონის ა. თ.—წერეთლის „კვალმა“. რედაქტორი ქალიაო და მორიდებით ექცეოდნენ; მაგრამ ვერ შეიგნო: სხვების დუმილი თავის ღირსების და ნიჭის საბუთად მიითვალა, წრეს გადავიდა: სიმართლეცა და ზრდილობიანობაც დაჰგმო. მოთმინებასაც საზღვარი აქვს.

არსებითად საკამათო საკანს არ შეეხება: ბ. ჯაბადარმა ისეთი უტყუარი, დაურღვეველი საბუთები წარმოადგინა „წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის“ შესახებ, რომ „კვალის“ ცილის წამება, რა თქმა უნდა, გააქარწყლა. მე მსურს მხოლოდ აღვნიშნო ის ქცევა, რომელსაც რედაქტორი ქალ. ა. თ.—წერელისა და მისი თანამშრომელი გ წერეთელი ცდილობენ შეათვისონ ქართულ მწერლობას.

ქართველი კაცი ბუნებით თავაზიანი და ზრდილობიანია, ფაქიზი სიტყვა-პასუხის პატრონია საქვეყნოდ ძაინც რომ სხვა არა ვთქვათ.რა. ეს ღირსება იქამდი აქვს მიწევნილი, რომ, მაგალითად, ჩემი «ცოლიო» არ წამოცდება: ან სახელით ახსენებს, ან და „ჩემი ოჯახობაო“ იტყვის, და თუ კარგ ნაცნობთან, ან ცოტაოდნად მახლობელთან ლაპარაკობს თავის ცოლზე «თქვენი და», ან „თქვენი რძალიო“. ასე იყო აქამდი და მწერლობას ეს მშვენიერი ღირსება კიდევ უფრო უნდა დაემკვიდრებინა. მაგრამ, ეტყობა, ეგ არა სწამს ჩვენის ნახატიან გაზეთის რედაქტორს ა. თ.—წერეთლისას, რომელიც საყმაწვილო ჟურნალის „ჯეჯილის“ გამომცემელიც ბრძანდება. მოწინავეობა დაუჩემებია: ჩემი „კვალი“ მესამე დასის წინამძღვარიაო, საზოგადო მოღვაწეთა-კი ზოგს «ულაყს» უწოდებს და ზოგს «ჯაკს» [1]). არც ერთი და არც მეორე არ იკმარა ამ ქალბატონმა და საქმე იქამდი მივიდა რომ მისმა გაზეთმა მთელი პატივსაცემი, მოღვაწე და ქვეყნის ერთგული საზოგადოება ქოფაქს შეადარა [2]).

რომელის დასის მოწინავეობამ მოიტანა ეგეთი ზრდილობა, ქალბატონო? მაგრამ ნათქვამია: „კოკასა შინა რაცა სდგას, იგივე წარმოსდინდებისო“.

თავის ქება კიტრად ღირსო, ამბობენ, მაგრამ ვერც ეს ჭეშმარიტება შეუგნია „კვალს“ და მეორე მისს თავ-ხეს გ. წერეთელს. იშვიათად შეჰხვდებით ისეთს „კვალის“ ნომერს, რომელიც თავის ქებით და ტრაბახობით არ იყოს გაჭედილი. აიღეთ, მაგალითად, ნაწერები ჩვენის სკოლის კრებების შესახებ: „სრულად გაიმარჯვა იმ აზრმა, რომელიც წინადღით იყო «კვალში» გამოთქმულიო“, „კვალის“ ფიცხი კამათი ამ ორის წლის წინად არ დარჩენილა ხმად მღალადებელისა უდაბნოსა შინაო“ და სხ. ღმერთი, ხატი „კვალს“ არც სკოლის საქმეში, არც კრებების გარდაწყვეტილებაში არავითარი წილი არ უძევს: ვინ «კვალი» და ვინ მისი გავლენა; მაგრამ რას იქთ? კრილოვის იგავ-არაკების ერთს მომქმედს პირს უთქვამს: „мы пахали“-ო და „კვალიც“ იმეორებს. ეს სასაცილო ჩვეულება, ვგონებ, ყველაზე უფრო ბ-ნ გ. წერეთელმა შეათვისა „კვალს“. აიღეთ, მაგალითად, მისი ნაწერები ამ სათაურით: „კვალის“ ორი წლის ნაღვაწი“. ღმერთო! რას არ შეჰხვდებით ამ წერილებში. ავტორი მოგვითხრობს ქართველების მონაწილეობის ამბავს საქალაქო საქმეებში. რაც ქართველებისათვის სამარცხვინო და მავნებელი მოხდა ამ საქმეში, სავსებით და უცილობელად ეკუთვნის მარტოდ მარტო ბ-ნს გ. წერეთელს, და არა სხვას ვისმეს: მაშინდელმა გ. წერეთლის მოქმედებამ მთელი საქართველო აღელვა, ააშფოთა; ბ-ნი გ. წერეთელი სინანულს მიეცემოდა გვეგონა, მაგრამ ნაცვლად სინანულისა გუნდრუკს უკმევს თავის-თავს და ქება-დიდებით იმოსება: შორს მჭვრეტელობა და პოლიტიკოსობა გამოვიჩინეო. ბ-ნ გ. წერეთლის შორს მჭვრეტელობა და პოლიტიკოსობა თითონ იფიქრე, მკითხველო, რა იქნება; უეჭველია, ნაფიქრიც გექნება.

ბ-ნ გ. წერეთელმა თითქმის ყოველგვარ ასპარეზზე სცადა თავისი ძალა, ღონე, მაგრამ არა გამოდნა-რა: აქ-იქ თითონ-კი ნახა ხაირი, ხოლო სხვას ვერ აჩვენა. მწერლობით დაიწყო და მისი შემოქმედობის ნიჭი, იცით რაში გამოიხატა? ვინც პირველად უპატრონა, გზაზე დააყენა, ძმური და მეგობრული მზრუნველობა გამოუჩინა, სწორედ იმას დაუწყო უშვერი და უღირსი ლანძღა-გინება. მას აქეთ დიდი ხანია, თითქმის ოც და-ათი წელიწადია: ახლანდელ ყმაწვილ თაობას, რომელთა ზოგიერთმა წარმომადგენელმა იქნება არ იცოდეს ამ ამბავის საზიზღარი სარჩული და ჩვენ მოხუცებულებს, იმ დროის მომსწრეთა არ დაგვავიწყდება.

ნ. ნიკოლაძე სიყრმიდანვე ლიტერატურულ მოღვაწეობით არის დაკავშირებული გ. წერეთელთან და მოიწადინა თავის მეგობრის ნიჭის დაფასება; მაგრამ ამ ავტორის მოთხრობებში მხოლოდ ათიოდე სტრი-

[1]) იხ. შარშანდელი ახალწლის ნომერი „კვალისა“.

[2]) იხ. წლევანდელი № 2 „კვალის“—მიმოხილვა.

კორესპონდენცია.

—

გორი. ყველა აშკარადა ჰგრძნობს ნაკლულევანებას, რომლითაც დასჯილია საბრალო გორი ქალაქის მმართველობის დაუდევრობისა გამო. იგი მოკლებულია ყოველ გვარს მზრუნველობასა და ვერაფერი გვაფიქრებინებს, რომ გორში საქალაქო მმართველობა არსებობს. ეს მეორე წელიწადია მოისპო ქალაქის გასუფთავება ნაგვისა და სხვა უწმინდურებისაგან, რაც წინა წლებში იჯარით ეძლეოდა 800 მ. და მომეტებულ ფასმდაც. უსუფთაობის გამო ერთობ შეწუხებულია ხალხი, უმთავრეს ქუჩებში სიარული სჭირს, მხოლოდ დანარჩენ ქუჩებზე მიმოსვლა შეუგნია „კვალს“ და მეორე მისს თავ-ხეს გ. წერეთელს. იშვიათად შეჰხვდებით ისეთს „კვალის“ ნომერს, რომელიც თავის ქებით და ტრაბახობით არ იყოს გაჭედილი. აიღეთ, მაგალითად, ნაწერები ჩვენის სკოლის კრებების შესახებ: „სრულად გაიმარჯვა იმ აზრმა, რომელიც წინადღით იყო «კვალში» გამოთქმულიო“, „კვალის“ ფიცხი კამათი ამ ორის წლის წინად არ დარჩენილა ხმად მღალადებელისა უდაბნოსა შინაო“ და სხ. ღმერთი, ხატი „კვალს“ არც სკოლის საქმეში, არც კრებების გარდაწყვეტილებაში არავითარი წილი არ უძევს: ვინ «კვალი» და ვინ მისი გავლენა; მაგრამ რას იქთ? კრილოვის იგავ-არაკების ერთს მომქმედს პირს უთქვამს: „мы пахали“-ო და „კვალიც“ იმეორებს. ეს სასაცილო ჩვეულება, ვგონებ, ყველაზე უფრო ბ-ნ გ. წერეთელმა შეათვისა „კვალს“. აიღეთ, მაგალითად, მისი ნაწერები ამ სათაურით: „კვალის“ ორი წლის ნაღვაწი“. ღმერთო! რას არ შეჰხვდებით ამ წერილებში. ავტორი მოგვითხრობს ქართველების მონაწილეობის ამბავს საქალაქო საქმეებში. რაც ქართველებისათვის სამარცხვინო და მავნებელი მოხდა ამ საქმეში, სავსებით და უცილობელად ეკუთვნის მარტოდ მარტო ბ-ნს გ. წერეთელს, და არა სხვას ვისმეს: მაშინდელმა გ. წერეთლის მოქმედებამ მთელი საქართველო აღელვა, ააშფოთა; ბ-ნი გ. წერეთელი სინანულს მიეცემოდა გვეგონა, მაგრამ ნაცვლად სინანულისა გუნდრუკს უკმევს თავის-თავს და ქება-დიდებით იმოსება: შორს მჭვრეტელობა და პოლიტიკოსობა გამოვიჩინეო. ბ-ნ გ. წერეთლის შორს მჭვრეტელობა და პოლიტიკოსობა თითონ იფიქრე, მკითხველო, რა იქნება; უეჭველია, ნაფიქრიც გექნება.

ბ-ნ გ. წერეთელმა თითქმის ყოველგვარ ასპარეზზე სცადა თავისი ძალა, ღონე, მაგრამ არა გამოდნა-რა: აქ-იქ თითონ-კი ნახა ხაირი, ხოლო სხვას ვერ აჩვენა. მწერლობით დაიწყო და მისი შემოქმედობის ნიჭი, იცით რაში გამოიხატა? ვინც პირველად უპატრონა, გზაზე დააყენა, ძმური და მეგობრული მზრუნველობა გამოუჩინა, სწორედ იმას დაუწყო უშვერი და უღირსი ლანძღა-გინება. მას აქეთ დიდი ხანია, თითქმის ოც და-ათი წელიწადია: ახლანდელ ყმაწვილ თაობას, რომელთა ზოგიერთმა წარმომადგენელმა იქნება არ იცოდეს ამ ამბავის საზიზღარი სარჩული და ჩვენ მოხუცებულებს, იმ დროის მომსწრეთა არ დაგვავიწყდება.

ნ. ნიკოლაძე სიყრმიდანვე ლიტერატურულ მოღვაწეობით არის დაკავშირებული გ. წერეთელთან და მოიწადინა თავის მეგობრის ნიჭის დაფასება; მაგრამ ამ ავტორის მოთხრობებში მხოლოდ ათიოდე სტრი-

ლა თითქმის შეუძლებილია. თვით აფთიაქის ქუჩა უმთავრეს ქუჩათ ითვლება, მაგრამ ძნელი წარმოსადგენია რა გაჭირვებაში არიან ჩაცვივნულნი მოსიარულე სამოქალაქო სასწავლებლის მოწაფეები და აგრეთვე სამების ეკლესიაში მიმავალი ხალხი. თუ აფთიაქმდის მოაღწიეს როგორმე, შემდეგ იძულებულნი არიან ლაფში ტოპონ, რომლითაც 18—20 საჟენის მანძილზე გადალესილია მთელი ქუჩა. ამ გვარად ფეხებ-გათოშილი მოწაფე კლასში, რასაკვირველია, ვერაფერს შეისწავლის, რადგანაც მისი სმენა და გონება შებოჭვილია სიცივისაგან. აშკარა საქმეა, რომ მოწაფეები ავად ხდებიან და სწავლაც უძნელდებათ. მცხოვრებთა შორის უსუფთაობისა გამო საზოგადოდ ბევრნაირი სენი მძვინვარებს და უდრო-უჟამოდ მიეზიდება საიქიოს. დღე ერთია და თქმა ათასი, მაგრამ ბ. უხუცესი ქალაქისა ერთსა-და-იმავე პასუხს იძლევა: ქალაქს ფული არა აქვსო. თუ მართლა სამმართველოს კასას ქალაქის სანიტარულად გაუმჯობესების საღსარი აღარა აქვს, მაშ მამაკვდინებელი ცოდვაა 100 მან. ქალაქის უხუცესის ყოლა და ამავე ჯამაგირით მდივნისა, როდესაც ორივე მსახურთათვის სრულიად საკმარი იქნებოდა 50 მან., საყურადღებოა აგრეთვე ის გარემოებაც, როდესაც ბნელ ღამეში გორის ხიდზე გამვლელ-გამომვლელთ შიშის ზარი იტანს და აცივ-აცხელებს. ნუ თუ ქალაქს იმოდენა შეძლება აღარა აქვს, რომ ერთის ფარნის საშუალებით მაინც არის სადგურისკენ მიმავალმა მგზავრებმა ბნელ ღამეში ხიდზედ უშიშრად გაიარონ? განა მარტო ხიდზეა სიბნელე, თვით ქალაქშიაც ხშირ მოვლენას შეადგენს ფარნების აუნთებლობა. მაშ რას აკეთებენ სამმართველოს წარმომადგენელნი? იმასა, ჩემო ბატონებო, რომ ჯამაგირებს სრულად იღებენ და სხვა არაფერს. დაჩეშმარიტებით შეგვიძლიან ვაღვიაროთ, რომ საბრალო გორი სანიტარულის მხრივ ბევრ სოფელზე უკან არის ჩამორჩენილი.

წილკნელი.

1896 წ., იანვარი.

მცირე შენიშვნა.

ამ უმადურ დროში ვინც-კი პატარა მადლს დასთესავს სამე ყველამ უნდა სთქვას და გახადოს იგი თითით საჩვენებლად. ამ დროს, როდესაც ზოგიერთ რუსეთის გაზეთები მოგვდგომიან და გვიპირებენ ყოველ ადგილიდან გაძევებას მართლაც, გულს სიამოვნებით ხვდება, როდესაც გაიგონებთ რომ ესა და ეს ადამიანი ყველას ერთნაირად განურჩევლად ეკიდებაო.—ვიღა მოესწრება იმ დროს, როდესაც მთავარ-მართებლის მეუღლე ვარანცოვისა იპატიჟებდა გ. ერისთავს: მობრძანდით, დაესწარით ქართულ ენის გამოცდას ინსტიტუტშიაო. ჩვენ ამ ნაირ ყურადღებას დიდი ხანია მოკლებულნი ვართ. დრო შეიცვალა; გარემოებანი სხვანი არიან და როდესაც ამ გარემოებაში ადამიანი გულის სიწმინდეს შეინახავს—ეს სამაგალითო მოვლენა არის. ამ ნაირი სამაგალითო ადამიანია მარია ვასილევნა კოლუბაკინისა. ოც-და-სამი წელიწადია რაც ეს პატივცემული ადამიანი ჩვენ დედა ქალაქში ცხოვრობს და მართავს საქალებო ინსტიტუტის სწავლა-განათლებას. ეს არის წარჩინებულის გვარისა და ფრიად განათლებული დედა-კაცი. სხვებსავით ის არ ცდილობდა ეჩვენებინა თავისი ღვაწლი, არამედ ჩუმად წყნარად იხვეჭდა თავის მოწაფეთა განუსაზღვრელ სიყვარულს და მადლობას. მაგრამ თუ სიყვარულზედ და მადლობაზედ ვილაპარაკებთ, ეს გრძნობები ყველაზედ უფრო მეტად მართებთ გამოუცხადონ ქართველებმა, რადგან მ. ვ. კოლუბაკინისა ყოველთვის დიდი მოქმედი იყო მათი. რამდენჯერ თავის გავლენით ძალად მიუღებინებია, რომელიმე სოფლიდამ ჩამოყვანილი ქალი, რომელსაც რუსული ენა პროგრამის შესაფერად არა სცოდნია. მიიღეთ, ეუბნებოდა იგი, უსამართლობა იქნება ერთნაირად მოეთხოვებოდეს რუსული ენის ცოდნა რუსსა და ქართველსაო, მიიღეთ და თვით დაინახავთ, რომ ეს ბაშვი სხვებზედ უკეთ ისწავლის და მისი აზრი მართლდებოდა კიდევაც. ამასთანავე მ. ვ. შორს იყო ყოველთვის იმ ფიქრიდამ, რომ სამსახურში ან ერთი ან მეორე ტომისთვის მიეცა უპირატესობა. ეს პატარა მაგალითები საკმარისათ ახასიათებენ მის განვითარებას და კეთილსულობას. საკვირველი არ არის, რომ ამ ნაირი ადამიანის მოშორება ელდასავით გულს მოხვდება ყველა მისგან აღზრდილ შვილებს.

ზნეობრივ გავლენის გარდა მას განსაკუთრებული ყურადღება ჰქონდა მიქცეული, რომ მოწაფეთ შეძლებოდათ დროის შესაფერის სწავლის მიღება.

თითქოს განგებ რომ უფრო სიწმინდით დაეტოვებინა მოხუცებულს საყვარელი თანამდებობა, ამ უკანასკნელ ხანში ორჯელ ზედი-ზედ გაუკეთეს რევიზია და ორივე ჯერ ისე პირნათლად გამოვიდა, რომ ღირს იქმნა მიეღო იმპერატრიცისაგან სამაგალითო მადლობის რესკრიპტი.

ახალ მმართველად, როგორც გავიგეთ, დაუნიშნავთ ქ. ბუტურლინისა. შორიდამ დიდი ქება გვესმის ქ. ბუტურლინისა და უეჭველია ეს ხმა დამსახურებული ექნება მას.

უცხოეთი

ინგლისი. 9 იანვარს ინგლისურ გაზეთს „დელი ნიუზ“ს 50 წლის იუბილეი უდღესასწაულნია. ამ დღისათვის რედაქციამ გამოსცა ვრცელი და დასურათებული დამატება, სადაც მოქცეულია ამ ლიბერალურ ორგანოს დაწვრილებითი ისტორია და მისი პირველი ნომრის ფაქსიმილე. «დეილი ნიუზ»-ი, ერთი უძველესთაგანი ლონდონელი გაზეთი, გამოდის დღესაც.

ყველაზე უძველესი გაზეთი ინგლისში „პიუბლიკ ლედჯერ“-ია, დაარსებული 1759 წ., მას მოსდევენ—„მორნინგ პოსტი“ (1772), „ტაიმსი“ (1788), «მორნინგ ადვირტაიზერი» (1794) და „დელი ნიუზ“-ი. ამათზე ძველ გაზეთებს, რომელნიც გამოდიოდნენ ლონდონში XVII და XVIII საუკ., უკვე მოელოთ ბოლო. „დელი ნიუზ“-ის პირველი რედაქტორ-გამომცემელი იყო ჩარლზ დიკენსი. მეორმოცე წლებში ამ გაზეთში თანამშრომლობდა იმ დროს ცნობილი ორატორი, პუბლიცისტი და პარლამენტის წევრი ვილიამ ფოქსი, პურის შესახებ კანონის ცხარე მოწინააღმდეგე. ეს ორი სახელი, დიკენსისა და ფოქსის, კმაროდა იმის გამოსაცნობად, თუ რა გზას დაადგებოდა ახალი გაზეთი, მაგრამ რედაქციამ მაინც საჭიროდ დაინახა მკითხველებისათვის თავისი პროგრამმა გაეცნო. პირველი ნომრის მეთაურში ეწერა: „პრინციპები, რომელთაც დაიცავს «დელი ნიუზი», იქნებიან პრინციპები პროგრესისა და განვითარებისა, განათლებისა, მოქალაქობრივის და რელიგიურის თავისუფლებისა და სამართლიანის კანონ-მდებლობისა. ეს პრინციპები, რედაქციის აზრით, გამოსახავდნენ იმ დროის პროგრესის ხასიათს, ამას მოითხოვდა ქვეყნის კეთილ-დღეობა, სამართალი, ადამიანის ჭკუაცა და გამოცდილებაც.

50 წლის განმავლობაში „დელი ნიუზი“ მტკიცედ ადგა თავისს პროგრამას, იცავდა იმ რეფორმებს, რომელთა აზრად უნდა ჰქონოდათ საარჩევანო უფლების გავრცელება და საარჩევანო სისტემის გაუმჯობესობა. ეწინააღმდეგებოდა ანგლიკანურის სარწმუნოების გავრცელებას სამეფოს იმ ნაწილებში, სადაც ხალხი სხვა რჯულს აღიარებდა. ხელს უწყობდა იმ საშუალებათ, რომელთ საგნად ჰქონდათ ადგილობრივი თვით-მართველობის განვითარება. იცავდა საერო და უფასო სწავლებას და მედგრად იბრძოდა მონაპოლიებისა და სხვა-და-სხვა პროტექციანულ მიმართულების წინააღმდეგ. „დეილი ნიუზი“, როგორც ინგლისელ ლიბერალთა პარტიის ორგანო, რომელსაც კიდევ არ გაჰკრობია ძველი ვიგიზმის ტრადიციები, ყოველთვის როდი უწყობდა ხელს მუშების პარტიის წინადადებებს ეკონომიურ რეფორმების შესახებ. მაგრამ ბევრში მაინც ეთანხმებოდა ლიბერალური გაზეთი თავისს რადიკალურ თანამოძმეებს. რაც შეეხება პოლიტიკურ რეფორმებს, „დეილი ნიუზს“ მუშების პროგრამის მხარი ეჭირა და ეკონომიურ კითხვების გამო-კი უთანხმოება იმათ შორის თანდათან ისპობოდა, მეტადრე ამ ბოლო წლებში.

გარეშე პოლიტიკაში „დეილი ნიუზი“ იმ მოძრაობას თანაუგრძნობდა, რომელიც ინგლისელ საზოგადოებაში სუფევდა ამა თუ იმ დროს. ხოლო ეს გაზეთი სხვა ინგლისურ გაზეთებზე უფრო ხშირად და უფრო მკაცრად იცავდა ხალხთა შორის კაცთ-მოყვარეობას და თავისუფლებას. „დეილი ნიუზის“ მოქმედება ბულგარიის საქმეში და ამ

ლონი იპოვა ყურადღების ღირსი: ეგ ის ადგილია, სადაც გ. წერეთელმა შეუდარებელის დაკვირვებით და დაახლოვებით ასწერა „მუსიკა“, რომელიც მას „ჯორის კუდის ძირიდამ“ გაუგონია იმერეთში. რეალიზმიაო, ბ. ნიკოლაძე ამბობს. თქვენი ნებაა, რეალიზმი იყოს![3])

მერე ამ „ბელლეტრისმა“[4]) ფილოლოგიასაც მიჰყო ხელი და ჩვიდმეტის წლის წინად ქალაქში ლექციაც წაიკითხა. იმერეთის მდინარე რიონი შეუდარა საფრანგეთის მდინარეს რონას და გერმანიის რეინს. ყველა ეს სახელები რონინებისაგან წარმოსდგაო; იმერეთში რონინება წყნარად სიარულს ნიშნავსო; მაშასადამე რონას და რეინს ქართველებისაგან უნდა ჰქონდესთ სახელი მიღებულიო! ეგ „მეცნიერება“ იმ დროში ბ. ნიკოლაძის Обзоръ-ში იყო შესანიშნავის სიმართლით და სიმახვილით აწერილი და დაფასებული.

არხეოლოგია და ისტორია ხომ გ. წერეთლის წყალობით წამებულნი შეიქმნენ. საქმე იქამდის მივიდა, რომ მის ისტორიაში შვილები უწინ იბადებიან მამებზე და პაპებზე! როგორ ხდება ეს გაუგებარი ამბავი? ჰკითხეთ თვით მეცნიერს.

მაგრამ ყველაზე საკვირველი და, თუ გინდ სასაცილოც, ის კილო და ლექსია, რომელიც შეითვისა „კვალმა“ და მისმა თავ-ხემ გ. წერეთელმა. თუ კვალისებურად არ ჰფიქრობ, მაგალითებრ, სწავლა-განათლების საქმეში „თვალთმაქცი“ ბ „გულმანკიერი“ ხარ; თუ ბ-ნ გ. წერეთელსავით არ იქცევი საზოგადო საქმეში, „ურიგო მოქმედებას“ სჩადიხარ. “კვალის“ უმანკოებას ჯერ-ჯეროვნით თავს დავანებებ; ხოლო გ. წერეთლის კიჟინს სხვის „ურიგო მოქმედებაზე“ საზოგადო საქმეებში დროა ყურით ვათხოვოთ.

გ. წერეთელი პირველად ქართველ ხმოსნებმა გამოიყვანეს და აირჩიეს წევრის კანდიდატად ქალაქის უპრავაში—და დაავალეს ისე ემოქმედნა როგორც სასარგებლო იყო ამომრჩევლებისათვის. მაშინდელ ქართველების საბჭოში მოწინააღმდეგე პარტიის წინაძღვარმა აწ განსვენებულმა იზმაილოვმა უპრავის წევრობას დაჰპირდა გ. წერეთელს. ბ-ნი წერეთელი მაშინვე მიემხრო იზმაილოვს და გადაუდგა იმათ, ვინც იგი აირჩია, მრთელი ქართველობის თხოვნა დაჰგმო და იყარა კენჭი მაშინ, როცა ეს კენჭის ყრა საზოგადო საქმის მავნებელი იყო. „კვალში“ იზმაილოვის ქება დიდებას საზღვარი არა ჰქონდა: იზმაილოვი ბევრი ეცადა, მაგრამ ვერას გახდა: გ. წერეთელი მაინც გააშავეს. შარშან საბრალო იზმაილოვი გარდაიცვალა. იცით როგორ მოექცა გ. წერეთელი გუშინდელ მეგობარს და მისგან მრავალ გვარად ნაქებს საზოგადო მოქმედს. მტერსაც და მოყვარესაც ეწყინა საბრალო იზმაილოვის სიკვდილი, და გ. წერეთელმა-კი წინ ხლი ჰკრა მის კუბოს, რომელიც ჯერ საფლავში არ იყო ჩაშვებული. მის მიერ მოხდენილ შეცდომას შთამოვლობა მას არას დროს აპატიებს, იგი შეიქნა საკუთარი ინტერესების მეძიებელი კაცების იარაღიო, უმტყუნა თავის მიმართულებასო. მაგრამ სჯობს ბ. გ. წერეთლის სიტყვები უცვლელად მოვიყვანო: „არ შეგვიძლია, არ მოვიხსენიოთ ერთი მის მიერ მოხდენილი შეცდომა, რომელიც შთამოეება მას არას ოდეს არ აპატიებს. ეს არის მისი მეთაურობა უკანასკნელ არჩევნების საქმეში, საცა იგი არ მოერიდა ორ მეზობელ ხალხებ შორის მტრობის ჩამოგდებას. იგი შეიქნა საკუთარი ინტერესების მეძიებელი კაცების იარაღად და ბურჟუაზიულ მდიდრების მოწინავედ. ამით მან უმტყუნა თავის მიმართულების პრინციპს და სხვა (იხილე „კვალი“ № 12).

ყველამ იცის, რა რიგად გაუმეგობრდა თ. ი. მაჩაბელი „კვალს“ და კვალი თ. ი. მაჩაბელს. გაიარა ერთმა წელიწადმა. ბ-ნი გ. წერეთელს მოეჩვენა, ვითომ „კვალი“ წელში გაიმართაო. აი ეხლა არის დრო მეგობრებს უჭიტლაყოვო და უჭიტლაყა კიდეც: ისეთი წერილი დაბეჭდა ბროსეს ფულების შესახებ რომ თითქმის ყელი გამოსჭრა თ. ი. მაჩაბელს. აი რასა სწერს ბ. წერეთელი თ. ი. მაჩაბელზე:

მაგრამ ჩვენ მაინც კიდევ ერთი ამბავი გვაოცებს. საზოგადოების მიერ შეწირული ფული ბროსეს საპრემიოთ, რომელიც განსვენებულს მესხს ჰქონდა, თ. ი. მაჩაბელს უკისრია და ეს ათი წელიწადია დღემდისაც ვალად ატარებს. ჩვენ-კი ვეძებდით ამ ფულს, ვკითხულობდით, ნეტავ რა იქნა ბროსეს პრემია, რომ საქართველოს ისტორიის შემდგენელს საჩუქრად დაუნიშნეთ-თქო. ვკითხულობდით და არავინ დღემდის პასუხს არ გვაძლევდა. ღმერთმა დაუმადლოს ი. ჭყონიას, რომელმაც გამოაცხადა: ის ფული თ. ი. მაჩაბელს აქვს და მოჰკითხეთო...

„შეიძლება ეს მისაყვედუროთო—ბრძანებს თ. ი. მაჩაბელი. რატომ პირველად ბროსეს პრემია არ გადაიხადეო, მაგრამ ხუთას-ექვსას-თუმნამდე იმისთანა ვალი იყო, რომელსაც ვადა ჰქონდა“. ჰო, აბა, ეგ არის კარგი თავის გამართლება, აი! საქველ-მოქმედო მიზნისთვის ჩაბარებულს ფულს, რადგან ვადა არა აქვს, სულ ერთია, როცა გინდა, მაშინ გადიხდი; შეიძლება ათ წელსაც არ მისცე, შეიძლება ასი წელიც ჯიბეში გედვას, რა უშავს? ვადა ხომ არა აქვს გადახდისა? აი, თუ გნებავთ საზოგადო მოღვაწეობაც და ქვეყნისთვის გულ-შემატკივრობაც ასეთი უნდა!.. მერე რა?.. ეს ყველაფერი კარგად და კანონიერადაც არის შესრულებული; მე და ჩემმა ღმერთმა, სამართალიც ვერას შეუა და ვერც არავითარი ადვოკატი კლანჭს ვერ მოსდებს. მაგრამ... მაგარი ის არის, რომ ბროსეს პრემია ამ ათის წლის წინათ თ. ი. მაჩაბელს საკომერციო ბანკში რომ შეეტანა ექვს პროცენტად, ახლა ხუთას-ოც-და-თორმეტ მანეთის მაგივრად ცხრაას მანეთამდე გვექმნებოდა. ერთი მიბრძანეთ ის ხუთას ოც-და-თორმეტი მანეთი რომ დღეს, იპრიანოს ღმერთმა და იმავე საკომერციო ბანკში შევიდეს სასარგებლოდ, ოთხასი მანეთი ვიღას მოვთხოვოთ? თ. ილ. ჰავჰაეაძემ მართლად აღიარა, საფარავში უნდა მოვძებნოთო? ჰაი, ჰაი, რა ძნელი მოვალეობა ყოფილა საზოგადოების ფულის ჯიბით ტარება!... ჰაი, ჰაი, რა ნაირად შეეტრუსება ხოლმე ხან-და-ხან ფრთები ცეცხლის მოარშიყე ფარვანას!

ამ სახით ბ-ნ გ. წერეთელს, უეჭველია, სურდა სამუდამოდ წესი ეგო მაჩაბლის საზოგადო ასპარეზზე მოღვაწეობისათვის. როგორ დააფასა თ. მაჩაბელმა ბ. წერეთლის მოქმედება ჩვენთვის საყურადღებო არ არის, ხოლო, იმედია, მოაგონდებოდა რუსული ანდაზა: друзья познаются въ несчастіи.

გ. წერეთლის სამწერლო მოედანზე გამოყვანა და „დროების“ გადაცემა ხომ ზემოთ მოვიხსენე. „ცისკრის“ გამომცემელის განსვენებულის ივ. კერესელიძის დაბეზღეების ამბავსაც მოგითხრობდით, მაგრამ ამ ხანად ესეც კმარა.

„კვალი“ და ბ-ნი გ. წერეთელი სხვას უკიჟინებენ „გულ-ბანკეჯრობას, ღალატს და „ურიგო მოქმედებას“. ვინ? გულმანკო და რიგიანი მომქმედნი „კვალი“ და ბ-ნი გ. წერეთელი! ღმერთო! რას არ გაიგონებს ადამიანის ყური?

დავიწყებული მწერალი.

---

[3]) იხ. „მოამე“ 1894 წ,

[4]) ბელლეტრისტი ფრანგულად მშვენიერს კაზმულ-სიტყვაობას ნიშნავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლო დროს სომხების საქმეშიაც ამას ნათლად აშტკიცებს. კონსერვატულმა ორგანოებმა, „ტაიმსმა“ და „სტანდარდ“-მა, მიუხედავად იუბილარს და თუმც ეს გაზეთები თავისი მიმართულებით „დელი ნიუზის“ არ ეთანხმებიან, მაინც ქება შეასხეს ლიბერალურ გაზეთს, რომელიც ნახევარი საუკუნის განმავლობაში მტკიცედ იცავდა თავისს აზრებს.

—

ინგლისი. გერმანიის იმპერიის 25 წლის შესრულების დღის დღესასწაულობის შესახებ ერთი უპირველესი ორგანო მარკიზ სოლსბერისა „სტანდარდტ“-ი ამბობს, რომ უკეთესი იქნებოდა გერმანელებს უფრო წყნარად ედღესასწაულნათ ეს იუბილე; მათ უთუოდ დაავიწყდათ სრულიად, რომ ამ იუბილეს დღესასწაულობით საფრანგეს შეურაცხჰყოფდნენ. ნუთუ არ ესმით გერმანელებს, რომ თავი უფრო წყნარად და მშვიდობიანად უნდა ეჭიროთ თუნდაც მხოლოდ მისთვის, რომ გეოგრაფიული მდგომარეობა ისეთი უჭირავს მათს მხარეს. გერმანიისათვის უფრო მშვიდობიანი პოლიტიკაა სავალდებულო. ამავე აზრისაა „დაილი ტელეგრაფი“, ხოლო «დაილი ქრონიკელ»-ი ურჩევს გერმანიას სხვის საქმეებში (ე. ი. ინგლისისა) არ ჩაერიოს, რადგანაც საკმაოდ ბევრი საქმეები აქვს შინაც. გერმანია უნდა სცდილობდეს სოციალურსა და პოლიტიკურს რეფორმებს მიჰყოს ხელი და შინაურ დაბრკოლებათა დროს უცხო სახელმწიფოებთან შეტაკებას არ მიჰმართოს. „ტაიმს“-მა დიდის კომპლიმენტებით მიჰმართა იმპერატორს ვილჰელმს, მაგრამ ლონდონელის სიტის გაზეთიც იმას ურჩევს გერმანიას სხვის საქმეებში (ე. ი. ისევ გერმანიისა) არ ჩაერიოს.

—

ბულგარია. სოფიიდამ იუწყებიან, რომ სტამბულოვის მკვლელობის შესახებ საქმის გარჩევა თებერვალში დაიწყებაო.

—

შეერთებული შტატები. გაზეთ „დაილი ნიუზ“-ის ნიუ-იორკელი კორესპონდენტი ამბობს, რომ ვაშინგტონში მეტის-მეტი საომარი მოძრაობააო. შესაძლებელია კონგრესმა საზოგადოების აზრს მიჰხედოს და გარდასწყვიტოს ინგლისს ომი გამოუცხადოს.

გაზეთი მხოლოდ იმითი ჰნუგეშობს, რომ ვენესუელადამ მშვიდობიანობის ხმები ისმის.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ.)

„ნოვ. ობოზრ.“ № 4139 დასტამბული წერილი გ. ყიფშიძისა ბაჩანას და ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებთა შესახებ ავტორი ასე ამთავრებს თავის წერილს:

„ამ პოეტების ლექსებს როგორღაც არ კითხულობს არა თუ მდაბიო ხალხი თვით ინტელიგენციის წარმომადგენელნიც-კი.

ამ სამწუხარო მოვლენის მიზეზად ასახელებენ მას, რომ ამ პოეტთა ლექსები პროვინციალიზმით არის სავსეო, მაგრამ ეს ტყუილი თავის გამართლებაა; მიზეზი უფრო სხვაგან უნდა ვიძიოთ. მკითხველებს ენა-კი არ ეჩოთირებათ, მათთვის უცხოა მთელი ის ქვეყანა, რომელსაც აღგვიწერენ პოეტები; იგინი ვერ გებულობენ შედარებას სურათებს, მეტაფორას, რომელიც ფშავთა და ხევსურთა ცხოვრებიდამ არის ამოღებული და ეს ცხოვრება ხომ გაუგებარია ქართველებისთვის.

ესეც უნდა ვსთქვათ, რომ ხელოვნების ნაწარმოების კითხვას და გაგებას უნდა შეეჩვიოს კაცი რამდენადაც უფრო დიდებულია ხელოვნების ნაწარმოები, იმდენად უფრო მეტი ჩაფიქრება და დაკვირვება სჭირია. ცოტა არის თვით ინტელიგენციაშიც იმისთანა, რომ რაფაელის მადონას ვერ არჩევს უბრალო მოთითხნილი ნახატიდამ და გენიოსის ნაწარმოებ კანტატს კაფე-შანტანების ტრალა ლა დამ?

შეიძლება ყველა მართალი იყოს, მაგრამ იმ საზოგადოებას, რომელსაც გაუგია ბარათაშვილისა, ჭავჭავაძეებისა და წერეთლის პოეზია, არა მგონია გაუჭირდეს, რომელიმე პოეზიის ნაწარმოების გაგება... ამასაც თავი დავანებოთ, თუ-კი ყაზბეგის მოთხრობას აღტაცებაში მოჰყავს არამც თუ ჩვენი ინტელიგენცია თვით მდაბიო ხალხიც, ბბ. რაზიკაშვილების პოეზიას რატომ ველარ გაიგებს? მოჩხუბარიძეც რომ ფშაველებისა და ხევსურების ცხოვრებას გვიხატავს. რაც შეეხება სიდიადეს პოეზიისას, ყაზბეგის პოეზიას და მისს ხელოვნებას ხომ ველარ აღემატება ბაჩანასა და ვაჟაფშაველას პოეზია? გარდა ამისა ფშაველებისა და ხევსურების ცხოვრებაც ჩვენთვის ისეთი უცხო არ არის, როგორც ავტორს ჰგონია. თავი და თავი შეცდომა ბ. გ. ყიფშიძისა იმაშია, რომ ბრძანებს, არა ჰკითხულობენ ძმათა რაზიკაშვილების ნაწარმოებსო. ყველანი სიამოვნებით და აღტაცებით კითხულობენ იმ ნაწარმოებს ბაჩანასა და ვაჟაფშაველასას, რომელნიც ამის ღირსნი არიან.

ჟურნალ-გაზეთებიდამ და წიგნებიდამ

ამოკრებილი ამბები.

— დღეს კიდევ ვაპირობთ სხვა რამ ვაუწყოთ ჩვენს მკითხველებს შესახებ ჭიანჭველისა, ამ მართლა და ცნობის-ღირს მწერისა, რომელიც ასე აოცებს კაცს თავისის ჭკუითა და გონიერებითა. პროფესსორი ვილლიამ მაკ გეე წასულა სონორაში (მექსიკაშია) და იქ დაუწყვია ძიება და გამოკვლევა იმ ჭიანჭველის ცხოვრებისა, რომელსაც „მიწათ-მომქმედს“ ჭიანჭველას ეძახიან. ამ უცნაურ მხნავ-მთესველებს სონორაში უჭირავთ თურმე რანდენიმე ათეული ოთხ-კუთხე ვერსტი და ამ სივრცეზედ რამდენიმე ცალცალკე ბინა აქვთ მიწათ-მომქმედს ჭიანჭველებს, თითქო სოფლებიაო. ამისთანა ბინა მაშინვე ადვილად შესამჩნევია, რაკი კაცი თვალს მოჰკრავს, იმიტომ-რომ ერთს ღერს ბალახსაც ვერა ჰნახავთ თურმე, იეს მოწმენდილია და გასუფთავებული სამუშაოდ იქაურობა. თვითეულს ბინას, უკედ ვთქვათ, ჭიანჭველის სოფელს უჭირავს ადგილი, რომლის გული ადლ-ნახევრიდამ ცხრა ადლამდეა. ამ ბინის, ანუ სოფლის გარეშემო მინდვრებია, დათესილები ერთგვარ ბალახითა, რომელსაც „ბიზონის ბალახი“ ჰქვიან. ეს მინდორი ყოფილია ნაჭერ-ნაჭერ და თვითეული ნაჭერი დათესილია. ამ ნაჭერთა შორის წვრილი გზებია დატანებული, ძალიან წმინდად და კარგად შენახული. იმ ბალახის გარდა, რომელსაც ჭიანჭველები სთესენ, ერთი ღერიც სხვა ბალახი არ არის იმ მოთესილ მინდორზე: ჭიანჭველა ერთს სხვა ბალახს არ უშვებს თურმე, ისე ფაქიზად ინიხავს თავისს ნათესსა. ამოვა სხვა ბალახი თუ არა, ჭიანჭველა მაშინვე გააქრობს ხოლმე. ყოველს შემოდგომაზე ეს პაწია მხვნელ-მთესველნი მოსავალს მოჰკრებენ და მთელი ზამთარი ამ მოსავლით იკვებებიან. მერე რაკი გაზაფხული დადგება ხელახლად სთესენ, რაც ზამთრის ხარჯს გადარჩება იქიდამ და მოთმინებით ელიან ახალს მოსავალს. ღირს შესანიშნავი ეს არის, რომ იგი ბალახი, როცა თავისთავად მინდვრად მოდის, სულ სხვაა და ჭიანჭველასაგან კეთების შემდეგ სულ სხვას კულტურულს მცენარეს წარმოადგენს. აშკარაა ჭიანჭველების მეცადინეობას იგი გადაუკეთებია და ბევრად უკეთესი შეუქმნიაო. (ჰ. ი. ლ.).

— არის თურმე ერთი ახალგაზდა ქალი სახელად სალამბო. ამ ქალს გველთა მეფეს ეძახიან. გველი რა არის და იმისი მეფე რა იქნებაო? იკითხავთ. მართალია, დღეს გველი საზიზღარი ქვემძრომია და ყოველს კაცს ისე ჰყავს წარმოდგენილი, თითქო მთლად ბოროტების ჰურჰელიაო. მაგრამ ისე გამოდის, რომ გველიც, ვითარცა სხვა მხეციც, ისეთი ავნი არ არიან, როგორც გვგონია. მართლადაც, შხამიან გველებს გარდა, რომელთა კბენასაც ამოდენა ხალხი გაუწირავს, არიან იმისთანა გველებიც, რომელნიც ყოვლისფრით უწყინარნი არიან და არას აშავებენ. ამისს სა.. ბუთს იძლევა ქალბატონი სალამბო. ამ ქალსა ჰყავს 15 სხვა-და-სხვა გვარი გველი, რომელნიც დამწყვდეული ჰყავს ყუთში. ამ ყუთიდამ სალამბოს ამოჰყავს გველები და ეთამაშება. უფრო შესანიშნავია ამ გველებს შორის ერთი უშველებელი გველი, სიგძით თითქმის ორი საჟენია და წონით 30 გირვანქაზე ცოტა ნაკლები. ქალი სალამბო, როგორც ეტყობა, ძალიან გამჭკნობრებია ამ გველს. გველი შემოერტყმის ხოლმე ქალს და მთელს ტანზე ისე დაეხვევა, როგორც უსურვაზი ხან ცალკე ხან სხვა გველებთან ერთად. ძალიან ადვილი საქმეა, რომ გველებმა თავისი ბრძანებელი დაარჩონ თავისის ნაზის ხვევნითა, მაგრამ კეთილი გველები ამისთანა პირ-შაობას არ კადრულობენ. უბძანებს თუ არა სალამბო, გველები მაშინვე მისცვივდებიან და ტუჩებში, თვალებში ჰკოცნიან, ენით ულოკვენ მთელს პირის-სახეს და იმასაც-კი მოთმინებით იტანენ, როცა სალამბო აიღებს და თავს გველისას პირში ჩაიდებს ხოლმე.

ყოველ ამაების ჩვენება თვალისთვისაც სასიამოვნო სანახავია. ქალი სალამბო, როცა წარმოადგენს ხოლმე ამ გველების ამბავსა, ისე აცვია, როგორც გიმნასტიორებს. ხორცის ფერი ტრიკო ტანზე გაკრული აქვს ისე, რომ თითქო უცმელი გეგონებათ. როცა გველებს სარტყელსავით მიიხვევს-მოიხვევს ტანზე, ისე გამოდის, თითქო განგებ დახატულია სხვა-და-სხვა ფერადებად შეხამებულ და აჭრელებულ ფიგურებითაო. ზოოლოგები უარს-ჰყოფენ, რომ ყოველივე ეს წურთვნის საქმე იყოს: არა სჯერათ, რომ გველის გაწურთვნა შესაძლებელია. საქმე თურმე იმაშია, რომ გველი ძალიან უძლებს შიმშილსა. შიმშილით ისე შეიძლება დააუძლუროს კაცმა გველი, რომ არაჭათი აღარა ჰქონდეს კაცს დაუშაოს რამ. სალამბო ეხლა ბერლინშია და თავისს გველებს იქ აჩვენებს თურმე (ჰ. ი ლ.)

— ხარკოვის გუბერნიაში ბ-ნ კენიგის მამულში ეს ოცი წელიწადია თურმე, რაც განგებ აჩენენ ფიჭვის ხესა. ეხლა თურმე 2600 დღიურ მიწაზე გამართულია ფიჭვის ტყე. ყამირს მიწაზე, რომელიც ჯერ არ მოხნულა, ფიჭვის ხის მოყვანა ადვილია დღიური შვიდ მანეთ-ნახევრად, თუ ვაკე მიწაა, ფერდობებზედ სადმე—ხუთმეტ მანეთად. ეს ერთხანად, ხოლო ყოველ წლივ უნდება თითო დღიურს ხარჯი მანეთ-ნახევარიო. (ზ. გ.)

თეატრის მატიანე.

—

17-ს იანვრის წარმოდგენას, რომელიც ბ. გუნიას საბენეფისოდ იყო დანიშნული, სწორედ რომ სადღესასწაულო ფერი ედვა. თეატრის დარბაზი სავსე იყო ხალხით, მობენეფისეს აღტაცებით მიეგებნენ და მრავალი საჩუქარით დააჯილდოვეს. ბ. გუნიაც ცდილა, რაც შეიძლება კარგად მოეწყო ბენეფისი. სრულიად ახალი პიესა წარმოადგინა, საუკეთესო არტისტები მოიწვია. თავისი მხრით არტისტებმაც დიდი პატივისცემა აღმოუჩინეს მობენეფისეს, რადგან მშვენიერად შეესწავლათ თავისი როლები.

„ცხოვრება“ ერთობ მოსაწყენი პიესაა სცენისათვის. შეიძლება საკითხავად უფრო კარგი იყოს. ვასილი ბედკრულაძე (ბ. ალექსი-მესხიშვილი) ახალგაზდა მწერალი არის, ავადმყოფი ჭლექით. სახსარი ცხოვრებისა არავითარი არა აქვს და მისი მეუღლე (ქ. ავალიშვილის») ტყუილად დაეხეტიალება იქით აქედ და დააქვს თავის ქმრის ხელთ-ნაწერები. ფულს ვერ შოულობს. ვასილის მეგობარი გრიგოლ რეხიშვილიც (ბ. მესხი) ძალიან სცდილობს შემწეობა აღმოუჩინოს რითიმე თავის მეგობარს. ერთად-ერთი საშუალება წარმოდგენის გამართვაა. იქიდამ შემოსული ფულებით უპირებენ ბედკრულაძეს აბასთუმანში გასტუმრებას... მაგრამ ეს აღარც ერთი აღარ დასჭირდა... თურმე ახალგაზდა მწერალს ცოლი ჰღალატობდა და თ. მიხეილ წარმარაძეში (ბ. სვიმონიძე) სცვლიდა. ავადმყოფი ამას გაიგებს. თავის მოკვლასაც აპირებს, მაგრამ თავისი შვილების ძიძის „ნანინა“ გამოარკვევს და რევოლვერს გადააგდებს. მერე თავის მეუღლეს თვით თავადის სახლში მოასწრებს, თუმც აქ მის ცოლს დანაშაული არა აქვს-რა. აღელვებული ავადმყოფი კვდება წარმარაძის სახლში.

ბ. მესხიშვილი და მესხი ჩვეულებრივად კარგნი იყვნენ. ქ-ნმა ავალიშვილისამ გვარიანად დაგვიხატა ბედკრულაძის მეუღლის როლი. მთელი პიესის ინტერესი ეს ქალია, საკვირველია ეს ქალი, ქმარს ჰღალატობს, ასეთს სისაძაგლეს ჩაიდენს, მაგრამ თანაც ისეთი თავგანწირული და ერთგულია თავის ქმრისა, ისეთი მისი მაღმერთებელი, რომ განცვიფრებული რჩებით. სწორედ ამის მიზეზია, რომ მისი დანაშაული რაღაც უძლეველი გვგონია, და თვით იგი სიბრალულს იწვევს ჩვენში. ეს ხასიათი ბუნების სუსტი შვილისა, რომელიც თანაც გულ-კეთილია და თავგანწირული, ჩვენი აზრით გვარიანად დაასურათა ქ. ავალიშვილისამ.

„პირველი ბუზი“ გადმოკეთებულია მობენეფისეს მიერ ბ. ველიჩკოს პიესიდამ. რამდენადაც პირველი პიესა მოსაწყენი იყო, იმდენად ეს სიცოცხლით სავსეა, ორიგინალური და მასიამოვნებელი. ბ. ღლონტაძე (გედევანოვი) და მისი ცოლი (ქ. ჩერქეზიშვილისა) იმაზედ-ღა ფიქრობენ, რომ რაიმე ნაირად გაათხოვონ თავისი ასული 24 წლის ლიზა (ეფ. მესხის ასული). ლიზას მოსწონს ახალგაზდა ჯაფარაშვილი (ბ. სვიმონიძე), მაგრამ ეს-კი ჯერ-ჯერობით დიდ-ყურადღებას არ აქცევს. ამ დროს ტფილისიდამ ჩამობრძანდება თ. რაინდაძე, ახალგაზდა პოლკოვნიკი (ბ. გუნია). დედ-მამა და ძმა ქალისა ყოველს ღონესა ხმარობენ, რომ რაიმე ნაირად პოლკოვნიკი სიყვარულის მახეში გააბან. ქალიშვილი-კი პირველის ნახვისათანავე ასეთის თხოვნით მიმართავს პოლკოვნიკს: იყავით თქვენ ჩემი „პირველი ბუზი“. ხომ მოგეხსენებათ, რომ შაქრის ნატეხს, როდესაც ერთი ბუზი მიაგნებს მას ათასი მიჰყვება. გამიარშიყდით თქვენ, (ეს რასაკვირველია უთუოდ ხუმრობა იქნება) და მაშინ ოცი, ოც-და-ათი საქმრო გამოჩნდება. პოლკოვნიკი ამაზე თანხმობას განაცხადებს და მართლაც ლიზას პლანები ნაყოფს მოიტანენ. „პირველს ბუზს“, მრავალი სხვაც მოჰყვა და მასაც გაბედულება მიეცა, ვინც ყველაზედ უფრო ეინტერესებოდა ლიზას—ჯაფარაშვილს, პოლკოვნიკს-კი კომედია დრამად გარდაექცა და მართლაც შეუყვარდა ლიზა. მაგრამ ეს უარს ეუბნება და ისეთი „გონიერი“ მოსაზრებანი მოჰყავს, რომელნიც პოლკოვნიკზედაც იმოქმედებენ და ეხლა ის იმას სცდილობს, რომ ლიზასა და ჯაფარაშვილის საქმე გააწყოს. ჯაფარაშვილი ლიზას ხელს სთხოვს და ცოტა ყოყმანის შემდეგ დედ-მამაც დასთანხმდება.

ეფ. მესხის ასული კარგი იყო, მაგრამ ეს არა კმარა ასეთი ნიჭიერი არტისტი ქალისათვის. ის დიდი პატივით უნდა ეპყრობოდეს თავისს ნიჭს და ისეთს როლებში არ უნდა გამოვიდეს, რომელიც მისს ამპლუას არ შეადგენს. ამ სეზონში-კი გარდა „მედეიასი“ ყველა ისეთი პიესები ითამაშა, რომელშიაც მას ადგილი არა აქვს. მართალია იმდენზედ ნიჭიერია, რომ არც ერთს როლს არ წაახდენს, კარგადაც აღასრულებს, მაგრამ იმ აღტაცებას, იმ ღრმა შთაბეჭდილებას ვერ მოახდენს, როგორსაც დრამატიულს როლებში. კარგია გულ-კეთილობა, თავაზიანობა, ღმერთმა დაუფაროს ჟინიანობა, მაგრამ ყველა როლის თამაში არ უნდა იკისროს. მე გაკვირვებული ვარ, რეჟისორმა რად არ მისცა ეფ. მესხის ასულს როლი „ცხოვრებაში“, იქ უფრო თავისს ადგილზედ იქნებოდა. ამ როლში-კი საფაროვის ქალი ბევრად უკეთესი იქნებოდა.

ქ-ნი ჩერქეზიშვილისა საუცხოვოდ რამ იყო თავის როლში და ხშირად იწვევდა აღტაცებულს ტაშის-ცემას.

მათეს, ლიზას ძმის, როლს თამაშობდა ბ. ცაბაშიძე. ამის თქმა კმარა. ასეთი უფერული როლიც კი პირველ როლად გარდააქცია ნიჭიერმა არტისტმა.

თვით მობენეფისე სწორედ რომ beau colonel იყო შესახედაობით. ძალიან კარგადაც აღასრულა როლი. ცოტა არ იყოს ნამეტნავად დინჯად თამაშობდა, ცოტა სიცოცხლე უფრო დამშვენებოდა როლს.

ბ. გედევანოვს არც ერთი როლი არ უთამაშნია ასე გლახად. ნამეტნავად გადააჭარბა. ვურჩევთ გალერეის სიცილს ნუ აქცევს ყურადღებას. პირველ მოქმედებაში საძაგლადაც ეცვა. ყოველიფერი როლის შესაფერი უნდა იყოს—გლახა ჩაცმაც.

წერილი რედაქციის მიმართ.

—

გიგზავნით ირაკლას თავნის და რაფიელ ერისთავის სახელობაზედ დაარსებულ ფონდის მისამატებლად ოც-დარვა მანეთს, შეგრებილს ჩემ მიერ ქ. ტაშკენტში.

სიაა შემოწირველთა:

პოდპორუჩ. ნიკოლოზ დავითის ძე თავ. ციციშვილმა ერთი თუმანი, გიორგი ნაზარბეგის ძე ციციძემ 5 მან., მისივე დავითის ძე ჩხეიშვილმა 4 მან., სიო როსტომის ძე კარიჭაშვილმა 2 მან., ოქრობირ გიორგის ძე ფალდომ 2 მან. და გრიგოლ დიმიტრას ძე კაკურიძემ 5 მან. სულ 28 მან.

გთხოვთ ნახსენარი ამა ფულებისა, სურვილისამებრ შემოწირველთა, მიუმატოთ ირაკლას თავნს და ნახსენარიც რაფიელ ერისთავის სახელზედ დაარსებულს ფონდს.

გრიგოლ დიმიტრის ძე კაკაურიძე.

1896 წ. იანვრის 5 დღ.

ქ. ტაშკენტი.

საქართველოს თავადნი.

—

თავადნი ყიფიანნი. 6 დეკემბერს 1850 წ. უსაღვრესად დამტკიცებულს იმერეთის

თავადთა სოჯახო სიაში აღნიშნული არიან თავადნი ყოფილნი: 1) ოტია ქაიხოსროს ძე, ტოლი მისი ასწა, შვილნი მათნი: გოსტანტინე, ქაიხოსრო, დუარსაბ და ალექსანდრე და 2) კოლეჟსკი რეგისტრატორი დუკან ნიკოლოზის ძე, ტოლი მისი სუსანა, შვილნი მათნი: ბორუჩაკი ნიკოლოზი (ტოლი მისი მაია), გიორგი (ტოლი მისი როზანა) და შვილის შვილი მათი სალომე გრიგოლის ასული.

ანგარიში

1895 წ. დ. ონის სამკითხველოსი.

დ. ონის სამკითხველოს ამხანაგობას 17 დეკემბერს 1895 წ. ჭკონდა საზოგადო კრება, რომელზედაც განსაძღვრა იქმნა შემოსავალ გასავალი სამკითხველოსი ამ კვესი თვის განმავლობაში და ამასთანავე კომიტეტმა წარუდგინა სია იმათი, რომელთაც თავიანთის შრომითა და მეცადინობით ალმოუჩინეს რაიმე შემწეობა სამკითხველოს. კრებამ უკეღას საერთოდ უძღვნა გულითადი მადლობა. განსაკუთრებით მადლობა გამოეცხადათ: ქ. ი. ნ. უითვანისას, რომელმაც თავისის მეცადინეობით შეუძღვა შეგეგრება სამკითხველოს სასარგებლოდ, კ. ი. ლობჟანიძეს, რომელმაც ამ ნახევარის წლის განმავლობაში დაუთმო უფასოდ შენობა (ორი ოთახი) სამკითხველოს, და მმართველს ამა სამკითხველოსას, ა. ბ. ბაქრაძეს, რომელიც ამ ხნის განმავლობაში ემსახურებოდა უსასყიდლოდ და შემდეგშიაც კისკას აღუთქვა.

როგორც სჩანს ქვემო მოყვანილი ანგარიშიდამ, ამა ნახევარი წლის განმავლობაში ნამდვილ წევრად ჭკოლია 43 სული; საწევრო ფული შემოსულია 219 მან. და 15 კაპ. კერძო შემოწირულობა ყოფილა 68 მან. და 73 კაპ., სულ შემოსულა: 287 მან. და 88 კაპ. აქედამ დახარჯულა ამ ხნის განმავლობაში: სამკითხველოს კურთხეის დღეს 54 მან. და 73 კაპ. წერილა 45 მან. და 38 კაპ. ჟურნალ-გაზეთების გამოწერაზედ—1895 წ. 77 მ. და 60 კაპ. ამავე ჟურნალ-გაზეთების გამოწერაზედ 1896 წ. 96 მან. და 74 კაპ. სულ: 274 მან. და 45 კაპ. ამავე ხნის განმავლობაში გა-ა მოწერილა იყო ჟურნალ-გაზეთები: სამი ქართული და ცხრა რუსული, ამათგან „ივერია“, „მოამბე“ და „Будьте здоровы» დათმობილი ჭქონდა სამკითხველოს უსასყიდლოდ ნ.მრევლიშვილისგან. ამავე ნახევარ წლის განმავლობაში სამკითხველოდამ გაუტანიათ წიგნები სახლებში საკითხავად 400 სულს, სამკითხველოში უკითხავთ 700 სულს. შემოუწირავთ წიგნები შემდეგ პირთ: ზ. რ, უთვიანს 7 წიგნი, გ. ბ. დობრეკელსკის 2, ს. ს. შეტრაუშვილისას 23 წიგნი, ზ. ჯაჯანიძეს 27 წ., გ. ი. გვედიშვილს 12 წ., ნ. კ. მრევლიშვილს 19 წ.. მ. ნ. მინდელს 2 წ., დ. ს. გიორგობიანს 1 წ., (88 პატარა სხვა და-სხვა წიგნებისაგან), კ. დობჟანიძეს 1 წ., ს. როინიშვილს 1 წ., (10 ტალი) ა. ჯანუაშვილს 1 წ., კ. ჩხეიძეს 1 წ., ს. სიჯველაძეს 2 წიგ., ს. დანდურაძეს 1 წიგ., ა. ი. წულუკიძეს 42 წ., ივ. მაჩაიძეს 26 წ. და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას 22 წიგნი, სულ შეადგენს 197 წ. ამ წიგნებში არ შედის ჟურნალ-გაზეთების დამატებანი—(приложенія).

თავმჯდომარე კომიტეტისა ექიმი ივ. გოკიელოვი.

წევრნი: ნ. მარკვილაშვილი. პ. გამყრელიძე. დ. გოცირიძე.

12 იანვარი, 1886 წ.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

17 იანვარი.

რომი. ფერდინანდ კობურგელი პაპიმ ინახულა ძლიერ ცოტა ხნით. პაპიმ პრინცი უამალოთ მიიღო და განაცხადა, რომ პრინცის ბორისის მართლ-მადიდებელად მონათვლის ნებას არ მისცემს. შემდეგ პრინცი ფერდინანდი იყო კარდინალ რამპოლთან, რომელმაც სამაგიერო ვიზიტი არ გადაუხ და. რომში ყოფნის დროს ფერდინანდმა არ ინახულა ოსმალეთის ელჩი და გუშინ საღამოს რომიდან წავიდა.

ლონდონი. საქმეთა მდგომარეობა ოსმალეთის შესახებ ისევ იმავე მდგომარეობაშია. ყველა სახელმწიფონი ცდილობენ statu quo დაიცვან.

ლონდონი. კონსტანტინოპოლიდან იტყობინებიან: გამოცხადდა ირადე იმის შესახებ, რომ მოხელეთა კასიდან გარდადებულ იქმნას 120 მილიონი გირვანქა სტერლინგი აუცილებელ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

18 იანვარი.

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორმა და იმპერატრიცამ ალექსანდრა თეოდორეს ასულმა საპაჟო კორპუსი ინახულეს. მათნი უდიდებულესობანი დაესწრნენ გაკვეთილებსა და იხილეს აგრეთვე მართლმადიდებელთა და რომაელ-კათოლიკეთა ეკლესიები და საავადმყოფო.

მოსკოვი. გუშინ მოსკოვის თავად-აზნაურობამ მშვენიერი ბალი გამართა „კეთილშობილთა საკრებულოს“ დარბაზში. ბალს დაესწრნენ დიდი მთავარი სერგი ალექსანდრეს ძე და დიდი მთავრინა ელისაბედ თეოდორეს ასული და ცეკვაშიაც მიიღეს მონაწილეობა. ნაშუალამევის პირველს საათზე ვახშამი გაიმართა. ბალი ღამის სამ საათზე გათავდა.

ხარკოვი. გუშინ ხარკოვის უნივერსიტეტმა თავისს დაარსების 91 წლის შესრულების დღე იდღესასწაულა. წირვის შემდეგ, უნივერსიტეტის დარბაზში დანიშნული იყო აქტი, რომელსაც დაესწრნენ ეპისკოპოსი პეტრე, საგუბერნიო და სამხედრო უწყების წარმომადგენელნი და მრავალი ხალხი. სიტყვა პროფესორმა ანფიმოვმა წაიკითხა. უნივერსიტეტის რექტორმა წაიკითხა ანგარიში, გაიხსენა აქ ახალის კლინიკების გახსნა, შემდეგ აღნიშნა გარდაცვალება საპატიო წევრის ბუნგეისი და აგრეთვე პასტერისაც. მასწავლებელნი ყოფილან სულ 124, სტუდენტები 1,372. წარსულს 1895 წელს სწავლა დაუმთავრებია 203-ს. სხვა-და-სხვა სტიპენდიებზე დახარჯულა 49,336 მან. უნივერსიტეტის შენახვას მოსდომნია 394,916 მან. ანგარიში ტა'მის ცემით დასრულდა. სტუდენტებს მიეცათ ორი ოქროსი და სამიც ვერცხლის მედალი. აქტი საერო საგალობელით იქმნა დასრულებული.

ბერლინი. ს ამბავი, ვითომ იმპერატორი ვილჰელმი გენუას მივა მეფის ჰუმბერტოს სანახავადაო, ტყუილია.

(„ივერიის“ საკუთარი დეპეშა).

ხარკოვი. აკაკი ამ ჟამად ცოტად უკეთ არის.

„ივერიის“ ფოსტა.

დ. ყვირილას—ბიქტორ გაჩეჩილაძეს: გირჩევთ პირ-და-პირ ქუთაისის სასკოლო საბჭოს მიჰმართოთ წერილით და შეატყობინოთ თქვენი სურვილი.

გათუმი, თავის. მ—ს: „სოფლის ქალაქის ვარამი“ არ დაიბეჭდება.

ტფილისი, №-ს: იმიტომ რომ არ შეიძლებოდა.

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ 20 იანვარს, 1896 წელს, დღის 12 საათზედ, საჯარო ვაჭრობა აქვს დანიშნული ავჭალის წყლის გამოსაყვან ადგილებზე მტკვრის პირად ბოგირების გაკეთება იჯარით მისცეს. მსურველს იჯარით გაცემის პირობები შეუძლიან გამგეობის ამშენებელს განყოფილებაში ჰნახოს ყოველ დღე დილის 10-დამ ნაშუადღევის 2 საათამდე.

(2—6—1)

ახლად დაიბეჭდა და ისყიდება წერა-კითხვის გამავარცლებელის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში:

ნ. ბარათაშვილის

ლექსები და წერილები.

გამოცემა მეხუთე.

ფასი 40 კ.

მამის ერთგული.

მოთხრობა

მოზრდილის ყმაწვილებისათვის

ქრ. შმიდტისა

ფასი 15 კ.

მტრედი.

მოთხრობა

მოზრდილის ყმაწვილებისათვის.

ქრ. შმიდტისა

ფასი 10 კ.

მაქვს ფარჩაზედ დახატული **თამარ დედოფლის** სურათი ბალიშებისათვის, თვითოეული ღირს 2 მანეთი, აგრეთვე **ძართველთა ყველა გამოჩენილის** კაცის სურათი—აბრეშუმის ცხვირ-სახოცზედ. თითო ღირს 3 აბაზი—1 მან. ხოლო წიგნში ჩასადებ ლენტებზედ დახატული აბაზი, 5 შაური და 6 შაური დამშის სახრდობელი (აბაჟური) **ძართველთა გამოჩენილ მწერლების** სურათებით (6 სურათი)—3 მან.

ტფილისი, კოჩუბეის ქუჩა, დრობიშევის სახლი, № 21, ალექსანდრა როდიონოვისა.

ივანე როსტომაშვილის გამოცემანი 1896 წელს.

1896 წლის განმავლობაში გამოვა **18 ახალი** ქართული წიგნი და **1 ალბომი «ძართველთა ნათესავნი ანუ ტომნი»** (грузинскія племена) ასზე მეტი სურათით და მოკლე აღწერით. ოთხი წიგნი უკვე გამოვიდა და ახლა იბეჭდება მეხუთე და მეექვსე წიგნი—პესტალოცის კლასიკური მოთხრობა **«ლინგარდი და გერტრუდა»** ოჯახში შვილების აღზრდაზე და **«ფუტკრის გონიერი მოვლა მოშენება»**. ამათ შემდეგ, სხვათა შორის, დაიბეჭდება ორი შესანიშნავი თხზულება—**«ცივილიზაციის ისტორია ინგლისში»** ბოკლისა და **«ისტორია საფრანგეთის დიდი რევოლიუციისა»** კარნოსი.

ფასი მთელის გამოცემისა **4** მანეთი.

ფული უნდა გამოიგზავნოს: г. Тифлисъ, Дав. пл. № 6, Ивану Павловичу Ростомову. (5—1)

დაიბეჭდა მეორე გამოცემით

იავ-ნანამ რა ჰქმნა

მოთხრობა იაკობ გოგებაშვილისა.

წიგნი შემკულია რვა სურათით, რომელნიც მკითხველს თვალწინ უდგენენ: 1) ზურაბ ქართველაძეს და მისს ცოლს პატარა ქეთოთი, როდესაც ქმარი უკრავს თარზედ და ცოლი დამღერის; 2) ქეთოს მოტაცებას ტყეში ლეკებისაგან; 3) ქეთოს ყიდვას ნაიბისაგან; 4) ქეთოს მოტაცებას ათის წლის შემდეგ მამის მიერ; 5) ქეთოს მოყვანას შინ; 6) დედა მღერის „იავ-ნანასა“ და ქეთო გონზედ მოდის, ცნობულობს დედას და იგონებს თავიის ბავშვობასა; 7) ქეთო ხელებ გაშლილი მირბის დედისაკენ; 8) დედა და შვილი ერთმანეთს ეხვევიან. წიგნი ისყიდება დამკვეთელთა წიგნის მაღაზიებში: ტფილისში წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში, ქუთაისში ბეჟანეიშვილთან და ჭილაძესთან, ოზურგეთსა და სენაკში თავართქილაძესთან. ფასი ყველგან ორი შაურია. (10—9)

„ივერია“

1896 წელსაც გამოდის ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელიც ზედ მოსდევს კვირა-უქმეებს. ფასი გაზეთისა:

12 თვით. . .	10 მ.—კ.		6 თვით . . .	6 მ.—კ.	
11 „ . . .	9 „ 50„		5 „ . . .	5 „ 50„	
10 „ . . .	8 „ 75„			4 „ 75„	
9 „ . . .	8 „ —„		3 „ . . .	3 „ 50„	
8 „ . . .	7 „ 25„		2 „ . . .	2 „ 75„	
7 „ . . .	6 „ 50„		1 „ . . .	1 „ 50„	

საზღვარ-გარეთ დაბარებული ელირება 17 მან. თელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ თელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Редакція „ИВѢРІА“.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანეთი; ხოლო თუ ქალაქის გარეთიდგან სხვა ადგილს გადავიდა სადმე, ქალაქს გარედვე,—ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმემ გაზეთი არა თელის წლით, მას გაეგზავნება გაზეთი პირველ იმ თვიდგან, რომელსაც დამბარებელი აღნიშნავს. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დასაბეჭდად

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი—8 კაპ., ბირველზე—16 კაპ. ბ) სრული შუახასკნელი გვერდი—30 მანეთი, ხოლო ბირველი გვერდი—60 მანეთი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის ყველობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერები, წერილები და კორესპონდენციები რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქნება. ხელ-ნაწერს, რომელიც დაბეჭდილი არ იქნება, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონმა არ მოიკითხა, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვს, ხოლო წვრილმანს წერილებს რედაქცია არ ინახავს.

არა-გვარს მიწერ-მოწერას დაუბეჭდელ ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირისპირ მოსალაპარაკებლად რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, ათ საათიდგან პირველ საათამდე და საღამოობით 6-დგან 7½ საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ნიკოლოზის ქუჩაზე, 21.

Дозволено цензурою, Тифлисъ 18 го Января 1896 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე